2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კოლეჯის სამუშაო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. სტრატეგიის შემუშავება განპირობებულია კოლეჯის პროფესიული განათლების სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობით, რათა გაძლიერდეს კოლეჯში დაწყებული ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს დაწესებულების მთელი სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესება. სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია კოლეჯის საერთო ღირებულებების, პრინციპებისა და მიზნების მისაღწევად. ის ხელს უწყობს პედაგოგიური და ადმინისტრაციული რესურსის გაერთიანებას და ერთიან შეთანხმებულ საქმიანობას. სამოქმედო გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების ერთწლიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2022-2023 სასწავლო წლის პერიოდში.

2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების მოქმედებათა გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლი(ებ)ის სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა აპრობირებული მეთოდოლოგიით.

2022-2023 წლების სამოქმედო გეგმით გაიწერა დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ცალკეული ღონისძიებები განხორციელდა.

2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სამოქმედო გეგმის შესრულება ასევე საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი ცდილობს გაუზიაროს ყველა დაინტერესებულ მხარეს და ჩართოს ისინი კოლეჯის საქმიანობის შეფასებასა და შემდგომი სრულყოფის პროცესში.

ვინაიდან კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს წინა წელს გაწეული მუშაობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მომავალი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრითა და პრიორიტეტების გამოკვეთით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ და გაანალიზებულ იქნა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რომლის შედეგებსაც ეფუძნება 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

თბილისი, 2023 წელი

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (10.08.2022-10.08.2023წწ.) წლიური ანგარიში

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა.

- **ამოცანა -** *შრომის ბაზრის მოკვლევა*
- ✓ **აქტივობა -** *სახელმწიფო და კერძო სექტორის გამოკითხვა*

კოლეჯი თავისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორთან. პარტნიორი კომპანიები აქტიურად არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების (საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ცვლილების შეტანის პროცესში. ისინი მონაწილეობენ გამოკითხვებში, კვლევებში, აგზავნიან ვაკანსიებს და პარტნიორობენ დაწესებულებასთან სხვადასხვა მიმართულებით. კოლეჯი თანამშრომლობს და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მაქსიმალურ გათვლას ახდენს მომავალში პროფესიული განათლების პოლიტიკის წარმართვაზე. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ფარგლებში, კოლეჯი სწავლობს სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო კვლევას იმის თაობაზე, თუ რა პროფესიის მქონე ადამიანებზეა მოთხოვნა შრომის ბაზარზე და სწორედ ამის მიხედვით დგინდება ამა თუ იმ პროგრამის განხორციელების საჭიროება.

2022 წლის 27 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა პროექტის განხილვის მიზნით - „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისათვის“, რომელიც ორგანიზებული იყო კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ. შეხვედრის თემატიკა ეხებოდა საგრანტო პროექტს, რომელიც მოიცავს კერძო სექტორის ჩართვას პროფესიულ განათლებაში და კოლეჯების პრობლემების ლუსტრაციას მათთან ურთიერთობაში, ასევე, განიხილეს კერძო კომპანიების როლი პროგრამების შემუშავების პროცესში. შეხვედრა შედგა ZOOM პლატფორმის მეშვეობით და მასში აქტიურად იყო ჩართული კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

2022 წლის 24 ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო ტიპის ღონისძიება „პროფესიული განათლება და სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა“, რომლის მიზანი იყო როგორც სასწავლო პროცესში ჩართული, ასევე პოტენციური პარტნიორი კომპანიების და მათი თანამშრომლების მოწვევა ინსტრუქტორების გადამზადების ტრენინგზე, რომელიც იგეგმება გემრანელი ექსპერტების ჩართულობით. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და შტუტგარტის პალატის ექსპორტ აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში „Vocational Education and Training Partnerships (BBP) between IHK Exportakademie Baden – Wurttemberg (IKX) and Georgian Chamber of Commerce and Industry (GCCI)“. მისი ერთ-ერთი მიზანია, ბაზრის მოთხოვნების შესწავლის შედეგად, გამოკვეთილ დარგში მოხდეს, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ასევე შესაბამისი კომპანიების წარმომადგენლების (შემდგომში ინსტრუქტორი) გადამზადება დარგობრივ და მეთოდოლოგიურ ჭრილში.

FIABCI-Georgia, Property Georgia, CMC-ის ორგანიზებითა და ExpoGeorgia-ს მხარდაჭერით, 2022 წლის 10 დეკემბერს საქართველოში პირველი უძრავი ქონების, კერძოდ სამშენებლო-დეველოპერული სექტორის დასაქმების ფორუმი ჩატარდა. მონაწილე კომპანიები (უძრავი ქონების დეველოპმენტის, მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინის, საბროკერო საქმიანობის, ურბანისტიკის, ინჟინერიის, უსაფრთხოების, უძრავი ქონების პროექტების მენეჯმენტის, კონსალტინგის, სამშენებლო მასალების წარმოებისა და რეალიზაციის, სამშენებლო დანადგარების პროფილის წარმომადგენლები) ერთ სივრცეში გაეცნენ დაინტერესებულ სტუდენტებს, ახალ კურსდამთავრებულებსა თუ სამსახურის მაძიებლებს. უძრავი ქონების სფეროში მომუშავე კომპანიებისთვის ეს იყო შესაძლებლობა, აღმოეჩინათ ნიჭიერი ახალგაზრდები და პოტენციური კადრები, ხოლო სტუდენტებისთვის/ახალგაზრდებისთვის და სამსახურის მაძიებლებისთვის ეს იყო შანსი პირადად გაცნობოდნენ პოტენციურ დამსაქმებელს, ახლოდან დაენახათ უძრავი ქონების და მშენებლობის სფერო და გადაედგათ ნაბიჯი ახალ პროფესიასთან შესახვედრად. უძრავი ქონების სექტორისთვის ეს იყო უნიკალური პლატფორმა ახალი ხედვის განვითარებისთვის.

- ❖ **შედეგი: შესრულდა**

- ✓ **აქტივობა** - *კურსდამთავრებულთა გამოკითხვა*

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გამოიკითხა პარტნიორი კომპანიები, მათი შეხედულება ჩარჩო დოკუმენტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ასევე გამოკითხულ იქნა კურსდამთავრებულები, მათი დამოკიდებულება იმ პროფესიული საგანმანათლელბო პროგრამების შესახებ, რომელიც დაამთავრეს. გარდა ამისა, ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შეიქმნა კურსდამთავრებულთა კვლევისთვის სპეციალური ვებგვერდი, სადაც გამოიკითხა 2019-2020 წლების კურსდამთავრებულები. ამ პორტალის ამოქმედების შედეგად, ყოველი წლის ბოლოს მოხდება წინა წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა გაეროს მიზნების შესაბამისად. გამოკითხვის შედეგები წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

- ❖ **შედეგი: შესრულდა**

- **ამოცანა -** *მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების განხორციელება*
- ✓ **აქტივობა -** *სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსების ორგანიზება*

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან. 2022-2023 წლებში კოლეჯმა თბილისის მერიის პროგრამის, „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში განახორციელა სხვადასხვა მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა („სოციალური მედიის მართვა“, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, „ამზომველ-ტოპოგრაფი“, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსი“, „კომპიუტერული გრაფიკოსი (რასტრული გამოსახულების შექმნა და დამუშავება)“, „სალაროს ოპერაციების განხორციელება“, „საეჭვო და დაზიანებული (ეროვნული, უცხოური) ვალუტის გამოვლენა“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას დიაგნოსტირება“, „ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი“, „ტანსაცმლის დიზანი და კერვა“, „მძიმე სამშენებლო ტექნიკის

(ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი“), რომელთა ფარგლებში მსმენელებზე გაიცა სერტიფიკატები.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროფესიული პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება*

✓ **აქტივობა** - *სახელმწიფო, კერძო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა და პროგრამების ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემა*

კოლეჯი მუდმივად ადევნებს თვალ-ყურს შრომის ბაზარს, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება მუდმივად ცდილობს დანერგოს და შეიმუშაოს ისეთი პროგრამები, რაც მეტ სამუშაო ადგილს შექმნის. გერმანიის საერთშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და შპს „დიო“-თან თანამშრომლებით 2023 წელს კოლეჯმა შეიმუშავა და შემდეგ მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამის, „ალუმინისა და მეტალოპლასტმასის კარების, ფანჯრების, მზის დამცავი სისტემების მონტაჟი“ განხორციელების უფლება. ა ეტაპისათვის, დაწესებულებაში ხორციელდება რამდენიმე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა („ხიდურა ამწის ოპერირება“, „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“, „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“) და სხვა.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დუალური პროგრამის განხორციელება, განვითარება*

✓ **აქტივობა** - *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება, მონიტორინგი და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება*

კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში მუდმივად ხორციელდება დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, რომლის ფარგლებში სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ სასწავლო პროცესის - ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და სწავლის შედეგების დადასტურების მიმდინარეობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი სისტემატურად ესწრება როგორც მეცადინეობების, ისე შეფასების პროცესს, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება/აკომოდაციას განიცდის მოდულები. კოლეჯში ასევე შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით, რომელიც აწარმოებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტაციას. საქართველოს მთავრობის 09 აგვისტოს N416 დადგენილების თანახმად, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩატარდა შუალედური შფასება და საკვალიფიკაციო გამოცდები, გაანალიზდა შედეგები და დაიდო რეკომენდაციები.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამების განხორციელება*

✓ **აქტივობა** - *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებლებთან თანამშრომლობა*

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებული პროგრამები (საორიენტაციო კურსები) - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“ განხორციელდა 10 საჯარო სკოლაში. აღნიშნული საორიენტაციო კურსები წარმატებით დაასრულა 164 მოსწავლემ, რომლებსაც კოლეჯმა სერტიფიკატები გადასცა. „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში საჯარო სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე, მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცა სკოლის შენობაშივე მოწყობილ მცირე პროფესიულ ლაბორატორიაში მოესინჯათ ძალები სხვადასხვა პროფესიაში, გაცნობოდნენ დეტალურ ინფორმაციას პროფესიული განათლებისა და პროფესიის შესახებ და მიეღოთ ინფორმირებული და გააზრებული კარიერული გადაწყვეტილება.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების (მ.შ. დუალური) დანერგვა/განვითარება, კონკრეტული პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა*

✓ **აქტივობა** - *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება, არსებული პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდის უფლების მოპოვება*

ამ დროისათვის, კოლეჯი ახორციელებს 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას:

1. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“,
2. „გრაფიკული დიზაინის შესრულება“,
3. „ვებტექნოლოგიები“,
4. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“,
5. „სამკერვალო წარმოება“,
6. „საფინანასო სერვისები“,
7. „საოფისე საქმე“,

8. „ბუღალტრული აღრიცხვა“,
9. „ინფორმაციის ტექნოლოგია“,
10. „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“,
11. „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“,
12. „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“,
13. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

პროგრამების შემუშავება-განვითარების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დამსაქმებლები. 2022 წელს კოლეჯმა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდა. კოლეჯის პერსონალმა აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად არაერთი აქტივობა განახორციელა, შედეგად 2022 წლის 21 დეკემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდის უფლება მოიპოვა.

❖ **შედეგი: შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

➢ **ამოცანა** - *კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი*

✓ **აქტივობა** - *ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა*
✓ **აქტივობა** - *პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა*
✓ **აქტივობა** - *პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა*
✓ **აქტივობა** - *პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელთა გამოკითხვა*
✓ **აქტივობა** - *კვლევის შედეგების ანალიზი*

ადმინისტრაციის წევრების საჭიროებების დადგენის მიზნით, მათი გამოკითხვა 2022 წლის მაის-ივნისის პერიოდში (2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში) ჩატარდა, კვლევის ანალიზის გათვალისწინებით, დაიგეგმა სათანადო ღონისძიებები, რომელთა ნაწილი 2022-2023 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში გაიმართა (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები), ხოლო ნაწილი - 2023 წელს. ადმინისტრაციის წევრების ზეპირი გამოკითხვით დადგინდა, რომ წინა წლისგან განსხვავებული საჭიროებები არ არის.

კოლეჯის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ კომპონენტებს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 23 პროფესიული განათლების მასწავლებელმა და 103 პროფესიულმა სტუდენტმა. ასევე, გამოიკითხა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განმახორციელებელი ინსტრუქტორები. გამოკითხვის შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელთა გამოკითხვა ყოველი მიღების დასრულების შემდგომ ხორციელდება. გამოიკითხნენ „ხიდურა ამწის ოპერირებისა“, „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლოატაციის“ და „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირების“ პროგრამების მსმენელების, კვლევის შედეგები შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინა კოლეჯის დირექტორს.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა*
✓ **აქტივობა** - *ტრენინგის დაგეგმვა/სერტიფიცირება*

პროფესიული განვითარების მიზნით, კოლეჯი აქტიურად ერთვება პერსონალის ტრენინგებისა და მასტერკლასების პროცესში, პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის სხვადასხვა პერიოდში ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

○ სწავლების ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური ფაქტორები;
○ კომპლექსური დავალება განმავითარებელი შეფასების საუკეთესო ინსტრუმენტი;
○ ინფორმაციული წიგნიერება;
○ ღრუბლოვანი ტექნოლოგიების office 365-ში გამოყენება;
○ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისციპლინა;
○ სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება.

- 2022 წლის 12-13 ოქტომბერს კარიერის მართვის სპეციალისტებისთვის ჩატარდა ღონისძიება, სადაც განხილულ იქნა როგორც კარიერის მართვის სპეციალისტების ფუნქციები (სამუშაო აღწერილობის პროექტის მიხედვით), ასევე უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებები.
- 2022 წლის 24 ნოემბერს გაიმართა საინფორმაციო ტიპის ღონისძიება „პროფესიული განათლება და სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა“, რომლის მიზანი იყო როგორც სასწავლო პროცესში ჩართული, ასევე პოტენციური პარტნიორი კომპანიების და მათი თანამშრომლების მოწვევა ინსტრუქტორის გადამზადების ტრენინგზე, რომელიც იგეგმება გერმანელი ექსპერტების ჩართულობით. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და შტუტგარტის პალატის ექსპორტ აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში „Vocational Education and Training

Partnerships (BBP) between IHK Exportakademie Baden – Wurttemberg (IKX) and Georgian Chamber of Commerce and Industry (GCCI)“, რომლის ერთ-ერთი მიზანია, ბაზრის მოთხოვნების შესწავლის შედეგად, გამოკვეთილ დარგში მოხდეს, როგორც მასწავლებლების, ასევე შესაბამისი კომპანიების წარმომადგენლების (შემდგომში ინსტრუქტორი) გადამზადება დარგობრივ და მეთოდოლოგიურ ჭრილში.

- 2022 წლის 30 ნოემბერს ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია „სოლიდარობის ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა ქალების პროფესიულ სწავლებაში/STEM პროფესიებში მეტად ჩართულობის საკითხებზე. ორგანიზაციამ პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან თანამშრომლობით დაიწყო ორწლიანი პროექტი შრომის ბაზარზე ქალების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით. პროექტის ფარგლებში იგეგმება რაოდენობრივი კვლევის ჩატარება ახალგაზრდა ქალებში პროფესიული სწავლებისა და სასწავლებლების მიმართ დამოკიდებულების შესწავლის მიზნით, რაშიც კოლეჯი აქტიურად მონაწილეობს.
- 2022 წლის 21-23 დეკემბერს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარდა საგრანტო წინადადებების შემუშავების და ფონდების მოძიების ტრენინგი. ტრენინგი მიზნად ისახავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობას დონორებისგან დაფინანსების მოზიდვასა და არსებული, ან ახალი პროგრამების დასაფინანსებლად, რაც გააუმჯობესებს სტუდენტთა მიღწევებს. ტრენინგის მონაწილეებმა, მათ შორის, ჩვენი კოლეჯის წარმოამდგენლებმა, ინტერაქციული სესიების ფარგლებში განიხილეს პროექტის იდეის გენერირების, პრობლემის იდენტიფიცირების და შესაბამისი აქტივობების დასახვის ტექნიკები.
- 17 და 18 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი „ბავშვებისთვის ინკლუზიური, სამართლიანი და ხარისხიანი სკოლამდელი და ზოგადი განათლების სისტემების მშენებლობა საქართველოში".
- 2023 წლის 23 თებერვალს PMC კვლევითმა ცენტრმა გამართა პროექტის „სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ახალი მექანიზმის პილოტირება პროფესიული განათლების პროგრამის განვითარებისთვის“ დახურვის ღონისძიება კერძო-საჯარო თანამშრომლობის პლატფორმის ფარგლებში. პროექტი ჩატარდა USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით და მიზნად ისახავდა კერძო-საჯარო თანამშრომლობის პლატფორმის შექმნას ICT სექტორისთვის და ამ პლატფორმის ფარგლებში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის მოდელის პილოტირებასა და შეფასებას. პროექტის მთავარი ამოცანა იყო საქართველოში ICT სექტორში უნარების მოთხოვნა-მიწოდების შეუსაბამობის პრობლემასთან გამკლავება. ამ ამოცანის ფარგლებში, პროექტის ერთ-ერთ ეტაპზე მოხდა ICT კომპანიებისა და კოლეჯების თანამშრომლობით შრომით ბაზარზე მოთხოვნად ICT უნარებზე მიმართული საგანმანათლებლო პროგრამების იდეების შესამუშავება. შემდგომ ამ იდეებიდან მოხდა ერთი, კიბერუსაფრთხობის სასწავლო პროგრამის, იდეის შერჩევა და პროგრამის კურიკულუმის ერთობლივად შემუშავება VET და კიბერუსაფრთოხების ექსპერტების დახმარებით. 23 თებერვლის ღონისძიებაზე PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებმა წარმოადგინეს სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობის მოდელის შეფასების პრეზენტაცია, რომელსაც მოჰყვა დისკუსია ამ მოდელის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შესამუშავებლად.
- 2023 წლის 21 ივნისს პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაიმართა შეხვედრა თემაზე „სამოშაოზე დაფუძნებული სწავლების მასშტაბის გაფართოება და კერძო სექტორთან თანამშრომლობა“. ვორქშოპის მიზანი იყო დარგობრივი უნარების ორგანიზაციებთან ეფექტური თანამშრომლობის გეგმის შემუშავება, კერძო სექტორთან ურთიერთობის შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა.
- პროფესიული უნარების სააგენტომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და აზიის განვითარების ბანკის ფინანსური ხელშეწყობით დაიწყო დაანონსებული პროექტი, რომლის მთავარი მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკლევის მექანიზმების დანერგვის მიმართულებით. ამ თემაზე, 2023 წლის 7 ივლისს ჩატარდა ონლაინ შეხვედრა, სადაც ისაუბრეს დაგეგმილ აქტოვობებზე პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლებმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ACT-თან ერთად. კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერების პროექტი მოიცავს 3 მექანიზმს: პერიოდული რაოდენობრივი კვლევა ადგილობრივი შრომის ბაზრის უკეთ მოკვლევისთვის, თვისებრივი კვლევა ადგილობრივი ბაზრის მასშტაბით კონკრეტული დარგის/სექტორის საჭიროებების უკეთ მოკვლევის მიზნით, თვისებრივი კვლევა პოტენციური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის უკეთ მოკვლევის მიზნით. პროფესიული უნარების სააგენტოს წინარე კვლევითი პროექტების მსგავსად, აღნიშნული გრძელვადიანი ინტერვენციაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას შემდეგი მიმართულებით: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის დაგეგმვა და ადმინისტრირება, მონაცემთა დამუშავება, მიღებული მონაცემების გამოყენება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა მიმართულებით, საჭიროების შემთხვევაში კვლევის გამოყენებითი ანგარიშის მომზადება. კოლეჯის მხრიდან, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი დარეგისტრირდა კვლევის კოორდინატორის პოზიციაზე, რომელიც ჩაერთვება აღნიშნულ პროექტში.
- 9 ივნისს ჩვენი კოლეჯის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კოლეჯ „იკაროსში“ტრენინგში თემაზე „ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისციპლინა“, რომელიც ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა Dr. ურსულა მარკოვსკა-მანისტამ ჩაატარა.
- 29-30 ივნისს, ჩვენი კოლეჯის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ეროვნულ კონფერენციაში „ინკლუზიური განათლება საქართველოში - მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები“.
- 20 ივლისს, ჩვენი კოლეჯის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში "ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად".
- 2023 წლის 23 სექტემბერს ევროკავშირის „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული უნარების განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში იგეგმება შეხვედრა კარიერის დაგეგმვის ექსპერტთან - ლინდა სტივენსონთან ერთად, სადაც მოხდა ინფორმაციის გაზიარება და განხილულ იქნა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის საჭიროებები.

- 2023 წლის 30 ნოემბერს ევროპის უნივერსიტეტმა სპეციალურად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებისთვის დაგეგმა ონლაინ სემინარი თემაზე: „თვითგანვითარება ანუ საკუთარი მეს ეფექტიანი მართვის მნიშვნელობა“.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება*

✓ **აქტივობა** - *კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება*

კოლეჯში ჩატარდა შემდეგი შემდეგი საჯარო/ღია ლექციები:

1. 2022 წლის სექტემბერი - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა რევაზ თოლორდავამ და N209 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია მოდულის „პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“ ფარგლებში. სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი კოლეჯის ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა.
2. 2022 წლის ოქტომბერი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა აკაკი ფეიქრიშვილმა და N233 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია და წარმოადგინეს პრეზენტაციები მოდულის, „პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ ფარგლებში.
3. 2022 წლის ოქტომბერი - „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ზვიად მამნიაშვილმა და N233ბ სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია და წარმოადგინეს პრეზენტაციები მოდულის, „პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ ფარგლებში.
4. 2022 წლის ოქტომბერი - „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გიული გურგენიძემ და N232 და N232ბ სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია და წარმოადგინეს ანგარიშები მოდულის, „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ ფარგლებში.
5. 2022 წლის ნოემბერი - „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლეილა გიორგობიანმა გამართა ღია ლექცია მოდულში „საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე“ და N231 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ანგარიშები.
6. 2022 წლის ნოემბერი - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ცირა მენთეშაშვილმა გამართა ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“ და N214/215 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს შესრულებული პროექტის ანგარიშგება.
7. 2022 წლის ნოემბერი - „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ციალა მარაულმა გამართა ღია ლექცია თემაზე „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ და N220 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტის გეგმა და მასალაში შესრულებული ტანსაცმელი.
8. 2022 წლის დეკემბერი - „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ქრისტინა თუთბერიძემ გამართა ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“ და N222 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტები.
9. 2022 წლის დეკემბერი - „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა დავით გოგიძემ და N227 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია მოდულის „პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში. სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი ვებგვერდები.
10. 2023 წლის მარტი - „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გიული გურგენიძემ და N245 და N254 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს კონფერენცია და წარმოადგინეს შემდეგი თემები: „ეროვნული ბანკის ისტორია“, „ეროვნული ვალუტა ლარი“, „ლარის ისტორია“, „ნაღდი ანგარიშსწორება“, „კრიპტო ვალუტა“, „დოლარი“ და „კომერციული ბანკის სალაროს კვანძი“.
11. 2023 წლის აპრილი - „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ლელა მაისურაძემ და N226 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია და წარმოადგინეს პრეზენტაციები მოდულის, „პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისათვის“ ფარგლებში.
12. 2023 წლის აპრილი - „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ილია სარხოსიდმა და N228 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა გამართეს ღია ლექცია და წარმოადგინეს შესრულებული პროექტის ელექტრონული და მატერიალური მტკიცებულბები მოდულის, „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“ ფარგლებში.
13. 2023 წლის მაისი - „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა მაია გრიგალაშვილმა გამართა ღია ლექცია თემაზე „საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ და N230 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები.
14. 2023 წლის ივნისი - „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა ცირა მენთეშაშვილმა გამართა ღია ლექცია მოდულში „პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება“ და N235 და N235ბ სასწავლო ჯგუფების პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს შესრულებული პროექტის ანგარიშგება.
15. 2023 წლის ივნისი - „ვებტექნოლოგიების (ინტეგირებული)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელმა დავით გოგიძემ და N223 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია

მოდულის, „პრაქტიკული პროექტი - ვებტექნოლოგიები“ ფარგლებში. სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი ვებსაიტები.

16. აგვისტო - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ინტეგრირებული) პროფესიული განათლების მასწავლებლებმა რევაზ თოლორდავამ, დავით სოლომნიშვილმა და N219 სასწავლო ჯგუფის პროფესიულმა სტუდენტებმა ჩაატარეს ღია ლექცია მოდულის, „პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“ ფარგლებში. სტუდენტებმა წარმოადგინეს მათ მიერ შესრულებული პროექტი - გლდანის ტბის (თეთრი ტბის) ტოპოგრაფიული გეგმა, PowerPoint-ში შესრულებული პრეზენტაცია.

❖ **შედეგი შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი III - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა

➢ **ამოცანა -** *ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა*

✓ **აქტივობა -** *სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის უახლესი ტექნოლოგიების შეთავაზება*

კოლეჯი ღიაა და სრულ მზადყოფნას გამოხატავს სასწავლო პროცესში ახალი, ინოვაციური მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით. კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების შემავალ მოდულებში ასახულია ჩანაწერები სწვლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.

ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლები სარგებლობენ „ახალი სკოლის“ მოდელით, რომელიც კომპლექსური დავალებებით სწავლებასა და შეფასებას გულისხმობს.

„მათემატიკური წიგნიერების“ მოდულში მასწავლებელი იყენებს კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობის აღწერის მეთოდს, რომელიც ეხმარება პროფესიულ სტუდენტს კვადრატული ფუნქციის თვისებების შესწავლაში.

მოდულის, „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“ განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლების პროცესში იყენებს შემდეგ ინოვაციურ მეთოდებს:

ხელოვნურ ინტელექტთან ინტეგრირებული სწავლება (AI-integrated teaching method) - მასწავლებელი იყენებს AI ინსტრუმენტებს, ტექნოლოგიებს, პლატფორმებს სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად და გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს AI-ზე მომუშავე ინსტრუმენტების გამოყენებას ტექსტის ანალიზისთვის, ბუნებრივი ენის დამუშავებისთვის.

ჩატბოტის დახმარებით სწავლება (chatbot-assisted learning) დახმარებით მასწავლებელი იყენებს ჩატბოტების შესაძლებლობებს, ჩართოს სტუდენტები საუბრებში, უპასუხოს მათ კითხვებს, უზრუნველყოს უკუკავშირი და მიაწოდოს სასწავლო მასალა.

Kahoot learning method - სტუდენტების ერთობლივი მუშაობა გუნდებსა ან ჯგუფებში საერთო სასწავლო მიზნის მისაღწევად. ის ხაზს უსვამს აქტიურ მონაწილეობას, თანატოლებთან ურთიერთობას და პრობლემების თანამშრომლობით გადაჭრას.

მეთოდი „Gamification”, რომელიც კომუნიკაციის გამყარების საშუალებას იძლევა სტუდენტთა გარკვეულ რაოდენობასთან და გვეხმარება ლიტერატურული ტექსტისა და პერსონაჟის ანალიზის პროცესში, პარალელების გავლებასა თუ ე.წ „Story Line”-ის უკეთ გააზრებაში.

კოლეჯი აღჭურვილია მოდულების სწავლის შედეგებით გათვალისწინებული თანამედროვე მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით. კოლეჯმა გაზარდა ინტერნეტპაკეტის მიწოდების სიჩქარე (20 მბ/წ), სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისთვის შესყიდულ იქნა 5 ცალი პროექტორი VIVITEK DX273, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ფარგლებში შეძენილ იქნა გეოდეზიური ხელსაწყო - ტაქეომეტრი ,,RUIDE RNS”, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, "მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების", "მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა" და "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების" უფრო ხარისხიანად განხორციელების მიზნით, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით კოლეჯს გადმოეცა ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (HYUNDAI GETZ სახელმწიფო ნომრით ZZ 148 YY). კოლეჯმა ასევე შეიძინა SSD ტიპის მყარი დისკები, იგეგმება ახალი კომპიუტერული ტექნიკის შეძენა.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა -** *სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება*

✓ **აქტივობა -** *შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად*

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფარგლებში კოლეჯში შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი. მონიტორინგის ჯგუფი ლექციების ცხრილისა და მასწავლებლების გამოცდილების გათვალისწინებით, შერჩევის პრინციპით ახორციელებს მონიტორინგს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტულ ჯგუფში, ესწრება მეცადიენობისა და შედეგების დადასტურების პროცესს. დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მონიტორინგის ჯგუფის წევრები და პროფესიული განათლების ის მასწავლებლები, რომელთანაც მოხდა დასწრება, ანუ მასწავლებელი ეცნობა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილ გარემოებებსა და რეკომენდაციებს.

❖ **შედეგი: შესრულდა**

➢ **ამოცანა -** *თანამშრომლობის განვითარება კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან*

✓ **აქტივობა -** *საწარმოო ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება*

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე სასწავლებლის კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის მიერ ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად. სპეციალობებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებთან. პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად. 2022 წლის აგვისტოდან 2023 წლის აგვისტომდე პერიოდში გამოქვეყნდა შემდეგი კომპანიის ვაკანსიები: ჯი თი მოტორსი, MANPA, ჰიპერმარკეტი „კონტეინერი“, გვირილა, თეგეტა მოტორსი, გრინვეი, თიბისი ფეი და სხვა.

FIABCI-Georgia, Property Georgia, CMC-ის ორგანიზებით და ExpoGeorgia-ს მხარდაჭერით 10 დეკემბერს საქართველოში პირველი უძრავი ქონების, კერძოდ სამშენებლო-დეველოპერული სექტორის დასაქმების ფორუმი ჩატარდა.

10 თებერვალს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ კომპანია „გრინვეი საქართველოს" დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც კომპანიის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სტუდენტებთან ერთად, მიმოიხილეს კომპანიაში არსებული პოზიციები და მიმდინარე ვაკანსიები. შეხვედრას ესწრებოდნენ „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების", „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებისა" და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების" პროფესიული პროგრამის სტუდენტები და ასევე, „მსუბუქი ავტომობილის დიაგნოსტირების" პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელები. მათ საშუალება ჰქონდათ, ადგილზევე შეევსოთ სააპლიკაციო ფორმა სასურველ ვაკანსიაზე კონკრეტული ტერიტორიის, სამუშაო გრაფიკისა და ანაზღაურების მითითებით. დასაქმების ფორუმის პარალელურად, ხელი მოეწერა კოლეჯსა და კომპანია „გრინვეი საქართველოს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორამდუმს, რომლის ფარგლებშიც, მხარეები იღებენ ვალდებულებას მუდმივად ჩაერთონ პროფესიული განათლების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროცესში.

- **შედეგი: შესრულდა**

- ✓ **აქტივობა -** *საწარმოო/გაცნობითი პრაქტიკისთვის/პრაქტიკული პროექტისთვის მემორანდუმების გაფორმება*

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო ბიზნესთან, რათა შრომის ბაზარზე სასწავლებლის კურსდამთავრებულები, მათ შორის, შშმ და სსსმ სტუდენტები წარმატებული იყვნენ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია სხვადასხვა სფეროს კომპანიებთან, სადაც პროფესიული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკული კომპონენტის მოდულებს/სწავლის შედეგებს.

- **შედეგი: შესრულდა**

- ✓ **აქტივობა -** *საწარმოო/გაცნობითი პრაქტიკისთვის/პრაქტიკული პროექტისთვის მემორანდუმების გაფორმება*

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად აორგანიზებს პროფესიული სტუდენტების გაშვებას პრაქტიკის ობიექტზე საწარმოო პრაქტიკის, პრაქტიკული პროექტის მოდულების ფარგლებში.

პრაქტიკის ობიექტზე გაშვებამდე სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს უსაფრთხოების წესებს, პრაქტიკის დღიურსა და მის სწორად შევსებას კვირების მიხედვით. ამზადებს სამსახურებრივ ბარათს პრაქტიკულ პროექტსა და საწარმოო პრაქტიკაზე დაშვებული პროფესიული სტუდენტების შესახებ.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტებს პირველ დღეს მიჰყვება პრაქტიკის ობიექტზე და შემდგომ პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს ადგილზე.

- **შედეგი: შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი IV - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა

- ➢ **ამოცანა -** *არაფორმალური პროფესიული განათლების მექანიზმის ამოქმედება*
- ✓ **აქტივობა -** *არაფორმალური განათლების მქონე პირების გამოკითხვა არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე*

კოლეჯი თბილისის მერიის დაკვეთით ახორციელებს სხვადასხვა მიმართულების მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს, სადაც გაიცემა სერტიფიკატი, თუმცა ეს დოკუმენტი სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული და ამ სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება არაფორმალური სტატუსის მქონე განათლებაა. კოლეჯის ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს ამ პროგრამების მსმენელების გამოკითხვას, ხომ არ სურთ მათ არაფორმალური განათლების აღიარება. კოლეჯის ადმინისტრაციის წერთ-ერთი წევრი არაფორმალურური განათლების აღიარების სერტიფიცირებული კონსულტანტია, აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯმა 2023 წლის ივლისში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიტანა განაცხადი არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების თაობაზე.

- **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა.**

- ➢ **ამოცანა -** *განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება*
- ✓ **აქტივობა -** *მიზეზების კვლევა*
- ✓ **აქტივობა -** *რეკომენდაციების შემუშავება*

კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდის მიზნით განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე დაყვანა აუცილებელი პირობაა კოლეჯის განვითარებისათვის. კოლეჯი მუდმივად სწავლობს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებისა და სტატუსის შეწყვეტის სტატისტიკას. პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის ძირითადი მიზეზი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 30% არასაპატიო მიზეზით გაცდენაზე მოდის, რაც 60%-ზე მეტს შეადგენს, შედარებით მცირე პროცენტი სწავლის შედეგების მიუღწევლობაზე მოდის. პროფსიულ სტუდენტებთან კომუნიკაციით დგინდება, რომ საკონტაქტო საათების გაცდენის მიზეზი პარალელურად სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა და/ან სამსახურში ყოფნაა. კითხვაზე, რატომ გადაწყვიტეს პარალელურად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე ჩაბარება და სწავლა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ეგონათ მოახერხებდნენ ერთდროულად რამდენიმე დაწესებულებაში სწავლისა და სამსახურებრივი საქმიანობის შეთავსებას. კოლეჯის ადმინისტრაცია ურჩევს ასეთ პროფესიულ სტუდენტებს სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები, სათანადოდ შეარჩიონ მომავალი პროფესია და/ან მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე შეაჩერონ არჩევანი.

- **შედეგი: ვერ შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი V - დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება

- **ამოცანა -** დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა/ განხორციელება
- ✓ **აქტივობა -** ახალი პროექტების შემუშავება-დაგეგმვა

პროფესიული განათლების შესახებ კანონის გათვალისწინებით, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას (მათ შორის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრების მოზიდვა, ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლის მიღება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის და სწავლების ხარისხზე უარყოფითად არ მოქმედებს) გულისხმობს, კოლეჯი ყოველთვის გამოხატავს მზაობას ამ კუთხით. ამის დასტურია კოლეჯის მიერ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად დასახვა. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის მიერ დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ამ ეტაპზე არ არის სრულად თავსებადი მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის, საგადასახადო რეგულაციებთან, მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯებში ეკონომიკური საქმიანობის დანერგვის მიზნით, მოხდეს თანამშრომელთა გადამზადება ტრენინგების ციკლის სახით. ამ საკითხზე კოლეჯის მიერ პარტნიორებთან კომინიკაციის შედეგად უკვე გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები და ეს პროცესი დაწყებულია.

გარდა ამისა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ეძლევა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება და დაწესებულება ცდილობს ამ მიმართულებით რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების მობილიზებას, ასევე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წახალისებას.

2022 წელს კოლეჯმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტის, „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში შეიმუშავა და განახორციელა 11 მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა. პროექტი მოიცავდა თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიული უნარების განვითარების გზით, შრომის ბაზრის ადეკვატური შრომითი რესურსების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, სოციალურ ინტეგრაციას და დასაქმების ხელშეწყობას. პროგრამები განისაზღვრა შრომის ბაზრის კვლევისა და კოლეჯის პარტნიორული კომპანიების გამოკითხვის შედეგად. პროექტმა ხელი შეუწყო ქ. თბილისში უმუშევრობის დონის შემცირებას და საწარმოების მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ისინი ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, პროფესიული უნარების და ღირებულებების გამომუშავებაზე და დასრულდა შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით. პროექტის განხორციელებაში ჩართულები იყვნენ პარტნიორი კომპანიები, სადაც მსმენელებმა გაირეს საწარმოო/გაცნობით პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას. პროგრამები განხორციელდა როგორც პირისპირ, ასევე სრული ან/და შერეული დისტანციური (ონლაინ) სწავლების რეჟიმის პირობებში.

აღნიშნულ პროგრამებზე 165 გამოცხადებულ ადგილზე სულ დარეგისტრირდა 404 ბენეფიციარი და ჩაირიცხა 169 მსმენელი. პროგრამები სულ დაასრულა 120 მსმენელმა (მათ შორის, კოლეჯის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა) და მათზე გაცემულია შესაბამისი დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით 2022 წელს განხორციელდა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები: „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“, „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“, „ხიდურა ამწის ოპერირება“, „სასაწყობე სატვირთველის უსაფრთხო ექსპლუატაცია“ და „მსუბუქი ავტომობილების დიაგნოსტირება“.

როგორც პროფესიული მომზადება-გადამზადების, ასევე მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები განხორციელდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინსტრუქტორების მიერ, ამასთან მნიშვნელოვანი იყო ახალი პედაგოგიური კადრების მოძიებისა და სასწავლო პროცესში მათი ხარისხიანი ჩართვის მიზნით, მოსამზადებელი და მხარდამჭერი ღონისძიებების სისტემატიზაცია. პროგრამების განხორციელების შედეგად კოლეჯის მიერ შეძენილ ან პარტნიორი კომპანიების მიერ გადმოცემულ იქნა ახალი აღჭურვილობები, ხელსაწყო-ინსტრუმენტები, სასწავლო-საცნობარო მასალა და ა.შ.

- **ამოცანა -** სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფუნქციონირება
- ✓ **აქტივობა -** სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის პოტენციალის განვითარება
- ✓ **აქტივობა** - ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება

კოლეჯში 2016 წლიდან ფუნქციონირებს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია“ - ე.წ. FAB-LAB, რომლის ამოქმედების ინიციატორი და მხარდამჭერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეს ლაბორატორია კოლეჯის ნებისმიერ სტუდენტს აძლევს საშუალებას რეალობად აქციოს საკუთარი ინოვაციური იდეები და ამავდროულად, შეიძინოს ახალი ცოდნა მათი

ბიზნეს პროექტებად ქცევის სახით. ფაბლაბი ერთ-ერთი თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და მომზადდებულია მატერიალურ-ტექნიკური მიმართულებით.

2023 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ დაგეგმილია ახალი პროფესიული სტუდენტის მიღება. კოლეჯისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგებისა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე, მოხერხდეს ლაბორატორიის ფუნქციურად დატვირთვა და იმ შესაძლებლობების სრულად გამოყენება, რასაც FAB-LAB-ის კონცეფცია ითვალისწინებს ინოვაციების და კვლევის შედეგების კომერციალიზაციისა და ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობაში.

- **შედეგი: შესრულდა.**

სტრატეგიული მიზანი VI - პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

- **ამოცანა -** *პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში*
- ✓ **აქტივობა -** *პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა*
- ✓ **აქტივობა -** *კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება*

კოლეჯის მიერ მუდმივად ხორციელდება პროფესიული სტუდენტების კვლევა მათი სერვისების გაუმჯობესებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით. მათი ინტერესების გათვალისწინება ხდება როგორც კოლეჯის ოფიციალურ მეილზე შემოსული შეტყობინებების, ისე სოციალურ ქსელის უკუკავშირისა და მატერიალური სახით შემოსული განცხადებების საფუძველზე. პროფესიული სტუდენტები სამრეწველო ინოვაციურ ლაბორატორიაში გარდა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ფარგლებში შექმნილი პორდუქტისა, აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა ნამუშევრების შექმნაზე, „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა დაამუშავეს კოლეჯის ლოგო, რომელიც შემდგომ „ინდუსტრიული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა დაამუშავეს და 3D პრინტერით ამობეჭდეს. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულმა სტუდენტებმა მოდულის, „პრაქტიკული პროექტი-სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ფარგლებში დაამზადეს მანტიები და ქუდები. აღნიშნულ პროდუქტს კოლეჯი აქტიურად იყენებს პროფესიულ სტუდენტთა გამოსაშვებ ღონისძიებებში.

სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 2023 წლის 6 აპრილს კოლეჯში გაიმართა შიდა ტურნირი შაშსა და ჭადრაკში. პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და მიმდინარე მოკლევადიანი პროგრამების მსმენელებმა. შაშში „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი ნიკა მეგრელიძემ გაიმარჯვა, ხოლო ჭადრაკის გარდამავალი თასი, დაძაბული ფინალის ფონზე, „მსუბუქი ავტომობილის ელექტროტექნიკოსის“ მოკლევადიანი პროგრამის მსმენელმა სანდრო ბაჯელიძემ მოიპოვა.

ექსტრაკურიკულური ღონისძიებების ფარგლებში, დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული და კულტურული აქტივობების ჩატარებას სტუდენტების ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ექსტრაკურიკულური ღონისძიების ფარგლებში, საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი **„მეგობართა ჰაბი“** განხორციელდა. პროგრამის კონცეფცია შემუშავდა რამდენიმე თემაზე დაყრდნობით: • ადამიანის უფლებები (რომელიც მოიცავს შშმ პირთა უფლებებს), გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები, გარემოს დაცვა, მეწარმეობა, როგორც სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი გზა (სოც. მეწარმეობა) და მოხალისეობა. პროგრამაში ჩაერთო 50-ზე მეტი სტუდენტი. მათთვის ჩატარდა სემინარები და ვორკშოპები, ეკოღონისძიება (პლოგინგი) და სასწავლო ვიზიტები სოც.საწარმოებში, „ბაბალე“ და „ესკი“. პროგრამის შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოეწყო გამოფენა, ანგარიში წარმოადგინეს პროგრამის განმახორციელებელმა და პარტნიორი ორგანიზაციის - „დაუნის სინდრომის ასოციაციის“ წარმომადგენლებმა. დასკვნითი შეხვედრა გაშუქდა ტელევიზიით და, მას დაესწრო დონორი ორგანიზაციის _ ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი.

- **შედეგი: ვერ შესრულდა**

✓ **აქტივობა -** *სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა*

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტ „ისწავლე და დასაქმდის“ 2023 წლის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრა სასტუმრო ბილთმორში გაიმართა, რომელსაც თბილისის მერი კახა კალაძე უძღვებოდა. აღნიშნულ ღონისძიებაზე კოლეჯს თავის სივრცეში წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამები, აღჭურვილობა, მატერიალური და ადამიანური რესურსი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ პარტნიორი კომპანიები, როგორიცაა: Greenway Career , ნიკორა, კარფური, გუდვილი და სხვა. დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ საზოგადოებას პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის, „ისწავლე და დასაქმდი“ ანგარიში წარუდგინა და 2023 წლის მიღებაც გამოაცხადა. მისი თქმით, პროგრამის ფარგლებში, დასაქმების მაჩვენებელი, დაახლოებით, 70%-ია. „ისწავლე და დასაქმდის“ ფარგლებში, 2023 წელს, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ 11 სასერტიფიკატო პროგრამა განხორციელდა.

2023 წლის 17 მარტს გაიმართა შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და პროფესიული უნარების სააგენტოსთან, რომლის მიზანი იყო კერძო სექტორთან პარტნიორობის გაღრმავება, ახალი პროგრამის შექმნა/დამატება. შეხვედრზე განიხილეს გათბობა-გაგრილება-კონდიცირების სფეროში პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი.

2023 წლის 24-30 აპრილს პროფესიული უნარების კვირეული გაიმართა, რომელშიც კოლეჯი პარტიონ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა. კვირეულის მხარდამჭერები იყვნენ: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და Skills4Jobs პროგრამა, ასევე პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები: USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროექტი „სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების

სისტემის მოდერნიზება“, ევროკავშირის (EU) პროექტი „სიცოცხლის მანძილზე უკეთესი განათლების შესაძლებლობები ადგილობრივი პარტნიორობის მეშვეობით“ და ნორვეგიის მთავრობის პროექტი „LEAD: ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია”, რომლებიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

➢ **ამოცანა -** *პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება*

✓ **აქტივობა** - *ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/„ღია კარის" დღეების/ვირტუალური ტურების ორგანიზება კოლეჯში*

პროფორიენტაციის ფარგლებში, 2022 წლის აგვისტოდან 2023 წლის აგვისტომდე პერიოდში კოლეჯს ქალაქ თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ, რომელთაც კოლეჯის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და აქ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნენ, მოინახულეს თითოეული პროგრამის სასწავლო სივრცე და გამოსცადეს სხვადასხვა სახის ტექნიკა, მიიღეს ინფორმაცია მოდულური, ინტეგრირებული და სასერტიფიკატო პროგრამების შესახებ.

2023 წლის 7 თებერვალს კოლეჯი ჩაერთო „ტენეს“ ქულების დაგროვების აქციაში. ეკო საქმიანობის ფარგლებში, კოლეჯის ადმინისტრაცია და პროფესიული სტუდენტები სოციალურ საწარმო „ტენეს" ესტუმრნენ და პლასტმასის 300 თავსახური ჩააბარეს. მეგობარ საწარმოსთან მოლაპარაკების საფუძველზე, დაიგეგმა სპეციალური ყუთის განთავსება კოლეჯის ტერიტორიაზე, სადაც მეორადი გადამუშავებისთვის არა მარტო თავსახურების, არამედ პლასტმასის სხვა ნარჩენების მოგროვება და კომპანიისთვის გადაცემა მოხდება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვა სტუდენტური ცხოვრების მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება, რითაც წვლილი შეგვგაქვს გაეროს მდგრადი განვითარების ისეთი მიზნების მიღწევაში, როგორიცაა შემცირებული უთანასწორობა, ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია, სამოქალაქო აქტივიზმი, სამოქალაქო ინტეგრაცია, სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული თუ სპორტული ღონისძიება და ა.შ. სტრუქტურიზებული აქტივობები მათ სოციალიზაციას უწყობს ხელს. 2019 წელს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართულმა კომპანიამ „ჯინვენტორი“ გადაწყვიტა, მომხმარებლისთვის ეკომეგობრული კაბელი Tene - ტენე შეეთავაზებინა. კომპანიამ ჩვენი სააგენტოს სესხის თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა და მეორადი პლასტმასას გადამუშავებით მსოფლიოში პირველი ქართული მწვანე USB კაბელი შექმნა.

❖ **შედეგი შესრულდა**

✓ **აქტივობა -** *ვებგვერდი/სოციალური ქსელებით რეკლამის წარმოება*

პროფორიენტაციის ღონისძიებები ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის, აგრეთვე ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის როგორც ოფიციალური ვებგვერდის, ისე სოციალური ქსელის საშუალებით, ზიარდება ინფორმაცია კოლეჯის საქმიანობისა და სიახლეების შესახებ, აღნიშნული ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას ნებისმიერ აქტივობასთან დაკავშირებით, მაგალითად, კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით განხორციელდა საიმიჯო ვიდეორგოლის გადაღება ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტებზე, 2023 წლის 14 აპრილს კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე დედაენის დღისადმი მიძღვნილი საიმიჯო ვიდეორგოლი გამოქვეყნდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ისე პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. 2023 წლის 23 აპრილს წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი“ კურსდამთავრებულმა, მედეა გოგსაძემ დაწესებულებას თავის საავტორო წიგნი გადასცა. ნამუშევარი პანდემიას ეხება და მისი გრაფიკული დამუშავება ასევე თავად ავტორს ეკუთვნის.

მსგავსი შინაარსის მქონე ინფორმაციების გაზიარება ვებგვერდსა თუ სოციალურ ქსელში, ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და მოტივაციის ამაღლებას.

მუდმივად ახლდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და იბეჭდება საინფორმაციო ბროშურები კოლეჯში გამოცხადებული პროგრამების შესახებ. ბუკლეტები წარმოდგენილია ყველა საინფორმაციო შეხვედრაზე, ფესტივალებზე, ასევე გადაეცემათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციების გამოცხადების დროს კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით, დაიბეჭდა სარეკლამო ბროშურები და დამზადდა საიმიჯო პოსტერი, რომელიც გამოიყენება სოციალურ ქსელში, რაც ხელს უწყობს კოლეჯის პოპულარიზაციას.

❖ **შედეგი შესრულდა**

✓ **აქტივობა** - *პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/მონაწილეობის მიღება*

ყოველი წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქსა და ლოკაციაზე პროფესიული განათლების ფესტივალი იმართება. აღნიშნულ ღონისძიებაში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ,კოლეჯი აქტიურად მონაწილეობს, თუმცა, 2023 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა კონკრეტული პროფილის (კულინარიის) პროფესიული კოლეჯები.

❖ **შედეგი ვერ შესრულდა**

➢ **ამოცანა** - *კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში*

✓ **აქტივობა** - *კოლეჯის კურსდამთავრებულების მონაწილეობა „ღია კარის" დღეებში, სხვადასხვა აქტივობებში*

კურსდამთავრებულებთან მუდმივად ხორციელდება კომუნიკაცია პროფესიული განათლების განვითარებისა და კოლეჯის პოპულარიზაციის მიზნით. მათ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულებაში დაგეგმილი განასხორციელებელი სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ.

2022 წლის პერიოდში პროფორიენტაციის ღონისძიებები, აქტივობები ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში ყველა დაინტერესებული პირებისათვის, ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას. ვთანამშრომლობთ და მაქსიმალურ გათვლას ვახდენთ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, რათა შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულები, მათ შორის, სსსმ/შშმ სტუდენტები/მსმენელები წარმატებული იყვნენ. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ სხვადასხვა კერძო კომპანია ატარებს დასაქმების ფორუმს პროფესიული სტუდენტებისთვის: 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა „თეგეტა მოტორსის“, „ელთიბის“, „გუდვილის“ და „თიბისი ფეის“ დასაქმების ფორუმები.

სამოქმედო წელს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა „პროფესიული განათლებით დასაქმების ფორუმი“, სადაც მიწვეულები იყვნენ კოლეჯების პარტნიორი და არაპარტნიორი კერძო კომპანიები. ფორუმის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ შრომის ბაზრის აქტიურ ვაკანსიებს და ადგილზევე გასაუბრებოდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. ნაყოფიერი და წარმატებული თანამშრომლობის საფუძველზე, ფორუმზე მოწვეულები იყვნენ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ კურსდამთავრებულები და სტუდენტები.

- **შედეგი შესრულდა**

- **ამოცანა -** *კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა*
  - **აქტივობა -** *ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა*

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და „გერმანიის ჰერმან გმაინერის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭრით SOS ბავშვთა სოფელმა დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის „ახალგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმება“ ხელშეწყობა, რომლის მხარდამჭერიც არის პროფესიული უნარების სააგენტო. სააგენტოს ინიციატივით, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯმა. პროექტის მთავარი მიზანია ახალგაზრდა მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობა ცხოვრებისეული და პროფესიული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად შრომის ბაზრის ინტეგრაციისთვის. აღსანიშნავია, რომ პროექტს აქვს რამდენიმე ქვემიზანიც, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება არა მხოლოდ ბენეფიციართა უნარ-ჩვევების გაძლიერება, არამედ მათ მიერ მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობაც. ვინაიდან, სამიზნე ჯგუფების არაერთი წარმომადგენელი სწავლობს პროფესიულ კოლეჯში, მათი დაკავშირება პროექტის მიერ შემოთავაზებულ სერვისებთან ძალიან კარგი შესაძლებლობაა მათი შრომის ბაზარზე მდგრადი ტრანზიციისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ფორიმირების პროცესში. კოლეჯიდან ორი სტუდენტი აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ პროექტში.

კოლეჯისა და სხვადასხვა ორგანიზაციების პარტნიორობის ფარგლებში, დაწესებულების ოფიციალურ ელ-ფოსტაზე მუდმივად იგზავნება ვაკანსიები, რომელიც ქვეყნდება სპეციალურად შექმნილ ფეისბუქ გვერდზე: ვაკანსიები სტუდენტებისთვის. ამასთან, კონკრეტულ ვაკანსიებზე პედაგოგის რეკომენდაციით ხდება კურსდამთავრებულთან დაკავშირება და დასაქმების ხელშეწყობა, მაგალითად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, „სამკერვალო წარმოება“, „საფინანსო სერვისები“, „ბუღალტრული აღრიცხვა“, ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებლების რეკომენდაციით დასქმდნენ კურსდამთავრებულები.

- **შედეგი შესრულდა**

სტრატეგიული მიზანი VII - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა

- **ამოცანა -** *საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საზღვარგარეთის კოლეჯებთან თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება*
  - **აქტივობა -** *გაცვლითი პროგრამების დანერგვის საჭიროების კვლევა*
  - **აქტივობა** - *საზღვარგარეთის კოლეჯებთან კონტაქტის დამყარება/თანამშრომლობა*
  - **აქტივობა** - *გაცვლითი პროგრამების ორგანიზება*

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზციასთან. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, 13 ივნისს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს", პროფესიული კვირეულის ფარგლებში (11-17 ივნისი), ყაზახეთის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის წარმოადგენლების 20 კაციანი დელეგაცია ესტუმრა. გამომდინარე იქიდან, რომ მათ გარკვეული ინფორმაცია მოძიებული ჰქინდათ საქართველოში არსებული კოლეჯების შესახებ, გამოთქვეს სურვილი, ენახათ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" და შეესწავლათ სწავლისა და სწავლების პროცესის თავისებურებები. მოხდა გამოცდილების გაცვლა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვა. სტუმრები გაეცნენ კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და მომზადება/გადამზადების კურსებს. შეხვედრაზე ორი ქვეყნის პროფესიული სისტემების შეჯერების საფუძველზე, მხარების მიერ შემდგომი თანამშრომლობა დაიგეგმა.

ამ ეტაპზე გაცვლითი პროგრამების საჭიროებების კვლევა და გაცვლითი პროგრამების ორგანიზება არ განხორციელებულა, რადგან აქამდე არ არსებობდა რეგულაცია გაცვლით პროგრამის შემუშავების შესახებ, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ კოლეჯებმა. „გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება დამტკიცდა 2023 წლის 27 ივნისს.

- **შედეგი: ნაწილობრივ შესრულდა.**